საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №21

ქ. თბილისი 29.03.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; სხდომის მდივანი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ანა ფირცხალაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
არჩილ ჯანგირაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
დავით ბერიკაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ქეთევან გეგიძე - აკადემიური პერსონალის განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
თინათინ ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
ირმა ინაშვილი - დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ზურაბ ბათიაშვილი - ინფორმაციული მართვის და სისტემატიზაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
აკაკი გიგინეიშვილი - ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ირინა გოცირიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:
მურთაზ კვირკვაია - ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი;
მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

კონსტანტინე ფიცხელაური;
ემზარ კახიძე (სატელეფონო ჩართვა);
თეონა კუპრაძე;
ხათუნა საგანელიძე;
თამაზ ბიჭიაშვილი (სატელეფონო ჩართვა);
ანი ბილანიშვილი (სატელეფონო ჩართვა);
რევაზ შანიძე;
მაია მანწკავა;
გოჩა თუთბერიძე;
ნინო ზარნაძე (სატელეფონო ჩართვა);
დავით ბურჯანაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ირაკლი

ბურდულმა. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ლევან გორდეზიანს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის (მენეჯმენტი) ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ანა ლელაძემ დააყენა შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი განხილული ყოფილიყო პირველ საკითხად. საბჭომ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და კენჭისყრის შედეგად დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა შემდეგი სახით:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის (მენეჯმენტი) ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
კვალიფიკაციის დონე	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არქეოლოგიის ბაკალავრი, 1115
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, კონსტანტინე ფიცხელაურმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:
- რეკომენდირებული იყო მეტი ყურადღება დათმობოდა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის სწავლებას;
- რეკომენდირებული იყო ძველი ბერძნული და ლათინური ენიდან შესწავლილი ყოფილიყო ერთ-ერთი (სტუდენტის არჩევანის შესაბამისად);
- ,,ანტიკური კულტურის საფუძვლები" სილაბუსში მითითებული იყო მხოლოდ ერთი ძირითადი ლიტერატურა. რეკომენდირებული იყო ლიტერატურის დამატება. ასევე სილაბუსები ,,რკინის ხანის არქეოლოგია" და ,,შუასაუკუნეების არქეოლოგია" მოითხოვდა განახლებას ახალი აღმოჩენების ფონზე.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ნაწილს, ხოლო ზოგიერთ მათგანზე პოზიცია წარმოდგენილი ჰქონდათ არგუმენტირებულ პოზიციაში.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი, რომელიც ეხებოდა პროგრამის მიზანს, სწავლის შედეგებს და მათთან პროგრამის შესაბამისობას

შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი. მას აინტერესებდა თუ რით იყო გამოწვეული აღნიშნული შეფასება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა მექანიკურ, ტექნიკური ხასიათის შეცდომას, პირველი სტანდარტი გახლდათ სრულ შესაბამისობაში, ხოლო მეტწილი შეფასება განკუთვნილი უნდა ყოფილიყო მეორე სტანდარტისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ ექსპერტებთან დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს რომ კითხვები არ ჰქონდათ.

16:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მე-2 სტანდარტის 2.3 და 2.4. კომპონენტები რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით შესაძლებელი იყო შეფასებულიყო, როგორც სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

16:40 საათზე სხდომას შემოურთდნენ საბჭოს წევრები - ხათუნა თოდაძე და გიორგი ქვარცხავა.

2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)
კვალიფიკაციის დონე	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით, ვინაიდან დასაქმებული იყო შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით დასკვნაში არსებულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაცია:

- რეკომენდირებული იყო მომხდარიყო სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება. ამასთან, ჯერ უნდა განხორციელებულიყო პროგრამის სწავლის შედეგების და კომპეტენციების განსაზღვრა და შემდეგ განსაზღვრულიყო პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურა და მასში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმირება. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა ყოფილიყო გაზომვადი და შეფასებადი.

ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ რჩევის სახით სასურველი იქნებოდა შრომის ბაზრის კვლევას მოეცვა არა მხოლოდ დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, არამედ საქართველოს შრომის ბაზარი მთლიანად. აღნიშნული დაწესებულებას მისცემდა საშუალებას უკეთესად დაენახა შრომის ბაზარზე არსებული მიმდინარე მოთხოვნილებები და სამომავლო ტენდენციები, მოთხოვნადი პროფესიები და დეფიციტური სპეციალობები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში გახლდათ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი სხვა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროგრამების შეფასების დროს, წინა დასკვნებში გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებას სრულიად ჰქონდა გათვალისწინებული და მიღებული მხედველობაში. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა შოთა რუსთაველის ფონდის გრანტი დამსაქმებლების კვლევის მიმართულებით, თუმცა აღნიშნული ეტაპისათვის წარმოდგენილი კვლევა მოიცავდა მხოლოდ 80 ორგანიზაციას, რომლებიც გახლდნენ დაწესებულების პარტნიორები.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიმდინარე საბჭოზე აკრედიტაციის მიზნით ასევე წარმოდგენილი იყო ამავე უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამა რომელიც გახლდათ იდენტური, თუმცა განსხვავება იყო მხოლოდ იმაში, რომ თუ ერთი პროგრამა ანიჭებდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას მენეჯმენტში, მეორე პროგრამა ანიჭებდა იგივე კვალიფიკაციას ოღონდ მარკეტინგში. მას აინტერესებდა თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ შეექმნა იდენტური პროგრამები, რომელშიც საგნებიც, ლექტორებიც და სამიზნე ჯგუფიც იყო ერთი და იგივე.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს უყურებდნენ, როგორც ერთგვარ შესაძლებლობას. მათ გამოცდილი ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები, მოსაზრებები და რჩევები გაითვალისწინეს. რაც შეეხებოდა სხდომის თავმჯდომარის შეკითხვას, ბიზნესის ადმინისტრირების მარკეტინგის და მენეჯმენტის მიმართულების პროგრამები არსებობდა ბიზნესის ადმინისტრირების ქუდის ქვეშ, აღნიშნული პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით იყო ერთნაირი, ვინაიდან ორივე პროგრამებში ისწავლებოდა ბიზნესის ადმინისტრირების საგნები, თუმცა მარკეტინგის მიმართულებით პროგრამა იყო განსხვავებული, 60 კრედიტის ფარგლებში და ასეთივე განსხვავება ფიქსირდებოდა მენეჯმენტის მიმართულებითაც. აღსანიშნავი იყო, რომ ბაზრის შესწავლისას აბიტურიენტების მხრიდან მოდიოდა დაინტერესება ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ბაკალავრიატის საფეხურზე მარკეტინგის პროგრამა, ჰქონდათ თუ არა ცალკე ფინანსების ან მენეჯმენტის პროგრამა. როდესაც ხდებოდა ახსნა იმისა რომ ბიზნესის ადმინისტრირების ქუდის ქვეშ შესაძლებელი იყო მოდულებად დაყოფა, აბიტურიენტებისათვის იყო ცოტა რთული გასაგები ის, რომ ორი წლის მერე შეძლებდა არჩევანის გაკეთებას კონკრეტულ სპეციალობაზე.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას შესწავლილი საზღვარგარეთის გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით. ბიზნესის ადმინისტრირება როგორც მეცნიერება არ არსებობდა და ის ჩამოყალიბებას იწყებდა ეკონომიკური მეცნიერების წიაღში გასული საუკუნის 70-80 - იანი წლებიდან და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დისერტაციის დაცვა იმ პერიოდში იყო წარმოუდგენელი. როგორც ჩანდა, იკვეთებოდა ტენდენცია იმისა რომ ბიზნესის ადმინისტრირება ცალკე გამოყოფილიყო როგორც დარგი და მის ფარგლებში განხორციელებულიყო ჩაშლა მარკეტინგის, მენეჯმენტის და სხვა მიმართულებებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებას, დაწესებულებამ როდესაც შეიმუშავა პროგრამები, პერიოდულად თავიანთ პარტნიორებთან ერთად ახდენდნენ თვითშეფასებას, განსაკუთრებით ტექნოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით ახდენდნენ პერიოდულ კორექტირებებს. ტენდენცია იყო მიმართული სწორედ დაწვრილმანებისაკენ, მათ პარტნიორებს ბაკალავრიატში ჰქონდათ არა მარტო მენეჯმენტი არამედ ადამიანური რესურსების მენეჯმენტიც, მენეჯმენტის ცალკეული მიმართულებებითაც ჰქონდათ დაწყებული მუშაობა. მათთან აღნიშნული მიდგომა ჯერ არ იყო მოთხოვნადი, თუმცა ტენდენცია ამისი იგრძნობოდა. რაც შეეხებოდა

ექსპერტის რეკომენდაციას, მათ არგუმენტირებულ პოზიციაშიც დაადასტურეს, რომ იზიარებდნენ მას და დაწყებული ჰქონდათ მუშაობა, ვიზიტის პერიოდშიც რეკომენდაციაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ ექსპერტებთან საუბარი, გარკვეული სამუშაოები შესრულებული იყო, თუმცა ეთანხმებოდნენ ექსპერტებს იმაში, რომ საჭირო იყო შედეგების არა მექანიკური არამედ შინაარსობრივი დაჯგუფება. რაც შეეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას, როგორც ექსპერტმა აღნიშნა მათ მოგებული ჰქონდათ შოთა რუსთაველის ფონდის გრანტი და მათი შვიდი აკადემიური პერსონალი ჩართული იყო კვლევაში და ასევე ჩართულები იყვნენ უშუალოდ პროგრამის განხორციელებაშიც. აღნიშნული კვლევა ეხებოდა დამსაქმებლებსა და დაწესებულებას შორის თანამშრომლობის კვლევას და სწორად ამ კვლევის ფარგლებში შესაძლებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული რჩევის გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, იყო თუ არა განსხვავება ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯმენტის და ბიზნესის ადმინისტრირების მარკეტინგის პროგრამებს შორის, ვინაიდან დღის წესრიგით განხილული უნდა ყოფილიყო ბიზნესის ადმინისტრირების მარკეტინგის პროგრამა და თუ გარემოებები იყო იდენტური, შესაძლებელი იყო ემსჯელათ მარკეტინგის მიმართულების პროგრამაზეც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ განსხვავება მდგომარეობდა მარკეტინგის მიმართულებაში, რომელიც მოიცავდა 60 კრედიტს, რაც შეეხებოდა საერთაშორისო პრაქტიკას, ძლიერი უნივერსიტეტები მიდიოდნენ ვიწრო სპეციალიზაციების მიმართულებით, შესაბამისად დაწესებულებას ჰქონდა უფლება ჰქონოდა აღნიშნული პროგრამა და ჰქონდა შესაბამისი რესურსებიც.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა რა სპეციალობას ანიჭებდა დაწესებულება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე და როგორ ჰქონდათ გათვალისწინებული აღნიშნული მიმართულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა რამდენიმე თვის წინ, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მოიცავდა სამ მიმართულებას მენეჯმენტს, ფინანსებს და ენერგეტიკის მენეჯმენტს და პირველი სემესტრის მერე სტუდენტს ეძლეოდა არჩევანის საშუალება, თუმცა მას ენიჭებოდა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამაში სავალდებულო საგნის სახით გათვალისწინებული იყო ბიზნესის სამართალი. თუ შეისწავლიდნენ აღნიშნული საგნის სილაბუსებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, აღმოჩნდება რომ აღნიშნულ საგანს ჰქონდა განსხვავებული შინაარსი და ყველა საგანში გათვალისწინებული იყო ის საკითხები რისი შესაძლებლობაც ჰქონდათ დაწესებულებებს. მათაც აღნიშნულ საგანში მოაზრებული ჰქონდათ ძალიან ბევრი რამ. ლექცია პირველი გახლდათ ,,სამეწარმეო საქმიანობის მომწესრიგებელი ჩარჩო სამართლებრივი ნორმა", რომელიც ასევე გათვალისწინებული იყო მესამე კვირაშიც. მესამე კვირა მოიცავდა ასევე ,,მეწარმეობის თავისუფლება და მისი ფარგლები" , ,,ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები", ზემოაღნიშნული საკითხები იყო ძალიან ზოგადი, ასევე მას არ ესმოდა რას ნიშნავდა ,,სამეწარმეო საქმიანობის მომწესრიგებელი ჩარჩო სამართლებრივი ნორმა", რომ ყოფილიყო ჩარჩო პირობები უფრო გასაგები იქნებოდა მისთვის. მას აინტერესებდა როგორ გადიოდა აღნიშნული სავალდებულო საგანი შედეგზე და რას იღებდნენ საბოლოო ჯამში. როდესაც სტუდენტი ისწავლიდა საგანს, რა ცოდნა ექნებოდა მას. პროგრამაში ასევე გათვალისწინებული იყო საგანი ,,კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება", უცხოეთში ასეთი სახელწოდებით არა თუ საგანი არამედ ცალკე სამაგისტრო პროგრამები იყო შექმნილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნის ავტორი მოღვაწეობდა სამართლის სფეროში და მათი მიზანი იყო, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებს ჰქონოდათ გარკვეული სამართლის საფუძვლების ცოდნა და აღნიშნული მოსაზრებით იქნა გათვალისწინებული საკითხებიც.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი რჩევა იქნებოდა, რომ სტუდენტებისათვის ესწავლებინათ კონტრაქტები, სამეწარმეო - სავაჭრო გარიგებები. მაგალითად, საწყობში საქონლის მიბარების კონტრაქტი, ლიზინგი, სატრანსპორტო ექსპედიციას და ა.შ. სტუდენტი ვერ მოახერხებდა ყველაფრის ერთ საგანში ათვისებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა სხდომის თავმჯდომარეს იმაში, რომ საკითხები იყო ფართო და მცირე დროში მათი სრულყოფილად ათვისება შეუძლებელი იყო, მათ მიზანს წარმოადგენდა საფუძვლების დონეზე სცოდნოდათ სტუდენტებს აღნიშნული საკითხები. საკითხების გარკვეული რაოდენობა ასევე უფრო ვიწრო კონტექსტით ისწავლებოდა სხვადასხვა საგნებშიც, თუმცა დაწესებულება იფიქრებდა აღნიშნულ საკითხზე, შესაძლებელი იყო საკითხების გაყოფაც.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრობლემას ქმნიდა ის, რომ არ იცოდნენ რას ასწავლიდნენ აღნიშნულ შეთხვევაში. აუცილებელი იყო საკითხების სისტემაში მოყვანა და საკითხების თანმიმდევრულად გამიჯვნა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილად თვლიდა, რომ სამეწარმეო სამართალთან ერთად სტუდენტებს უნდა შეესწავლათ როგორც შრომის სამართალი, კორპორაციული სამართალი და საგადასახადო სამართალი ბიზნესის მიმართულებით. სტუდენტს უნდა შეესწავლა ზოგადად ის გარემო რომელშიც ფუნქციონირებდა ბიზნესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შრომის სამართალთან დაკავშირებით არ ჰქონდათ ცალკე საგანი, თუმცა საკითხები მოცემული იყო „ადამიანური რესურსების მართვის" საგანში. თუმცა დაწესებულება ღებულობდა გამოთქმულ მოსაზრებას და იმსჯელებდა აღნიშნულთან დაკავშირებით და შეეცვალათ საგანი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს რომ კითხვები არ ჰქონდათ.

17:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. **შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი)
კვალიფიკაციის დონე	საბაკალარო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში 0202
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით, ვინაიდან დასაქმებული იყო შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ ვინაიდან შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამები გახლდათ იდენტური და განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ სპეციალობაში, შესაბამისად რეკომენდაციაც და რჩევაც იყო

ერთნაირი. ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო პროგრამაზე საუბარი იყო ასევე წინა საკითხის განხილვისას და დაწესებულების არგუმენტაცია და პასუხებიც ეხებოდა ორივე პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

17:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. **სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერია
კვალიფიკაციის დონე	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის ბაკალავრი ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემებში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრებმა, გიორგი ქვარცხავამ, დენიტა ბიბილეიშვილმა და სალომე თოთიბაძემ განაცხადეს თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით, ვინაიდან დასაქმებულები იყვნენ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაცია:

- იმისათვის რომ პროგრამის შინაარსი უკეთ მორგებოდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საჭირო იყო კურიკულუმის შინაარსის ჩამოყალიბებაში პოტენციური დამსაქმებლების უფრო აქტიური ჩართვა, მათი რეგულარული გამოკითხვით და პროგრამის სამენეჯმენტო სტრუქტურაში ჩართვით;
- რეკომენდირებული იყო გადახედილიყო სამიზნე ნიშნულების გაანგარიშების მეთოდოლოგია, რათა ისინი რეალისტური და მიღწევადი ყოფილიყო;
- რეკომენდირებული იყო გადახედილიყო თითოეული კურსის ფარგლებში შედეგების შეფასების სქემა;
- რეკომენდირებული იყო გაგრძელებულიყო სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება (მაგალითად ჰენდაუტების სახით);
- უფრო ფართოდ უნდა დანერგილიყო სწავლების ისეთი თანამედროვე მეთოდები, როგორიც იყო აქტიური სწავლება, კლინიკური შემთხვევების განხილვა (case study) და სხვა;
- რეკომენდირებული იყო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თვითშეფასების და კმაყოფილების კვლევის რეგულარულ საფუძველზე ჩატარება;
- შიდა ხარისხის უკეთესად უზრუნველყოფის მიზნით და ნათელი სურათის მისაღებად საჭირო იყო კითხვარების შემუშავების მეთოდოლოგიის დახვეწა და მიღებული მონაცემების ტექნიკურად უკეთ დამუშავება;
- რეგულარულად უნდა განხორციელებულიყო პროგრამის მონიტორინგი, სასურველი იყო უნივერსიტეტში გამოკითხვების უფრო ორგანიზებულად ჩატარება და მიღებული შედეგების გაცნობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის შინაარსი იყო ძალიან კარგი, თუმცა აგებული თუ იქნებოდა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და თუ დამსაქმებლების ჩართულობა უფრო აქტიური იქნებოდა შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო ღირებული ვინაიდან დოკუმენტურად ყველაფერი კარგად იყო წარმოდგენილი, თუმცა სამწუხაროდ დამსაქმებლებად და სტუდენტებმა სრულად ვერ დაადასტურეს ჩართულობის რეგულარულობა და მონაწილეობის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეკომენდაციების საფუძველზე დასკვნა იყო ძალიან კარგი, უბრალოდ მეორე და მეხუთე სტანდარტთან მიმართებაში შეფასება იყო მეტწილი შესაბამისობა.

დასკვნის მიხედვით მას რჩებოდა შთაბეჭდილება რომ აღნიშნული ორი სტანდარტი უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ შესაბამისი. ან ხომ არ უნდა ჰქონოდა ზოგიერთ რეკომენდაციას რჩევის სახე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როგორც აღნიშნა, დოკუმენტურად უფრო მეტი ინფორმაცია იქნა წარმოდგენილი ვიდრე ინტერვიუების დროს გამოიკვეთა. თვითშეფასების ჯგუფმა იმუშავა კარგად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს დააკლდა მტკიცებულებები. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამა იყო კარგი, გადიოდა შედეგზე უბრალოდ შიდა ხარისხის მიერ პროგრამის მონიტორინგი უნდა ყოფილიყო შედარებით აქტიური და რეგულარული.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტმა წარმოადგინა დასკვნის პროექტში მოყვანილი რეკომენდაციები, ვინაიდან მათი არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა მათ მიერ წარმოდგენილ პასუხებს, შეცვლილი იქნა გარკვეული მონაცემები. შესაბამისად შინაარსობრივი განსხვავება იყო დასკვნის პროექტსა და საბოლოო დასკვნას შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გახლდათ პირველი, რომლმაც ნახა ახალი გახსნილი სამეცნიერო ლაბორატორია და საინჟინრო ტექნოლოგიური ბაზა. ბიოსამედიცინო ინჟინერია გახლდათ საინჟინრო სპეციალობა, რომელიც ეყრდნობოდა პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესაბამისად საინჟინრო ტექნოლოგიური ბაზა წარმატებით გამოიყენებოდა სტუდენტების მომზადებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს მათ განუმარტეს ექსპერტებს, რომ მათი ძირითადი დამსაქმებლები და პროგრამის შემუშავებაში ჩართული დამსაქმებელი წევრები იმ დროს იმყოფებოდნენ ავსტრიაში რადიოლოგების კონგრესზე. შესაბამისად ორგანიზაციებიდან იყვნენ წარმოდგენილი წარმომადგენლები რომლებიც ასე უშუალოდ არ იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავებაში. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამის შემუშავებისას დამსაქმებლების უმთავრესი მოთხოვნა იყო პროფესიული ინგლისური ენის ცოდნა, ვინაიდან ბევრი კომპანია გახლდათ სამედიცინო ტექნიკის მწარმოებლები, რომლებიც მოღვაწეობდნენ საერთაშორისო ასპარეზზე. მათ მიერ დასაქმებული სტუდენტები აუცილებლად იგზავნებოდნენ შესაბამის ტრენინგებზე საზღვარგარეთ, სწორედ აქედან გამომდინარეობდა მათი მოთხოვნა ინგლისურ ენასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა არ იყო ახალი, ის ტექნიკური უნივერსიტეტში ხორციელდებოდა 1983 წლიდან, პირველი სპეციალობა საბჭოთა პერიოდში გაიხსნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. რეფორმების მერე მოხდა ისე, რომ გარკვეული პროგრამები გაერთიანდა, აღნიშნული პროგრამა შეუერთდა ხელსაწყოთმშენებლობას, ორი წელი სწავლობდნენ საერთო საგნებს და მერე მიდიოდა პროფილით დაყოფა, მანამდე კი არსებობდა სხვა სახით, კერძოდ ისწავლებოდა გერმანული მოდელით როგორც სამედიცინო სფერო, და ეწოდებოდა სამედიცინო ტექნიკა. შემდგომ მიდგომა შეიცვალა მსოფლიოში, გახდა ბიოსამედიცინო ინჟინერია ფართო გაგებით. დაწესებულებამ დაამუშავა პროგრამა და როგორც კი მოხდა პროგრამის „რებრენდინგი" გაიზარდა მსურველთა რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა გახლდათ ერთადერთი საქართველოში, რომელიც ამზადებდა ბიოსამედიცინო ინჟინერიის მიმართულების სპეციალისტებს. თბილისში ფუნქციონირებდა 165 კლინიკურ-დიაგნოსტიკური ცენტრი, სადაც საჭირო იყო კლინიკური ინჟინერი და სერვისული მომსახურება. რაც შეეხებოდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის

განახლებას, ვინაიდან აღნიშნული პროცესი იყო მუდმივი, რეკომენდაცია სასურველი იქნებოდა თუ კი იქნებოდა რჩევა და მე-2 სტანდარტის 2.3 კომპონენტი უნდა ყოფილიყო სრულ შესაბამისობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა თანამედროვე სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბიოსამედიცინო ინჟინერია არ იყო სამედიცინო სფერო სადაც განხილული უნდა ყოფილიყო კლინიკური შემთხვევები, თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ სხვადასხვა სილაბუსებში გამოიყენებოდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მეცადინეობები, ჯგუფური პროექტი. Case study საინჟინრო მიმართულებისათვის იყო ამოცანები, სხვადასხვა ლაბორატორიული სამუშაოები. შესაბამისად მისი მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაციაც შესაძლებელი იყო ყოფილიყო რჩევა. რაც შეეხებოდა კითხვარების შემუშავების მეთოდოლოგიის დახვეწას, რა თქმა უნდა კითხვარის შემუშავების მეთოდების დახვეწა მნიშვნელოვანი იყო ყველა უნივერსიტეტისათვის და სოციალური კვლევების თვალსაზრისითაც იყო გასაუმჯობესებელი, თუმცა აღნიშნულიც მისი მოსაზრებით უნდა ყოფილიყო რჩევის სახით წარმოდგენილი. ასევე პროგრამის მონიტორინგიც გახლდათ მუდმივად პროცესი, რომელსაც უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა უნივერსიტეტი.

19:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის მიზნით.

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამედიცინო ფიზიკა
კვალიფიკაციის დონე	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფიზიკის მაგისტრი გამოყენებითი ფიზიკის სპეციალიზაციით 050211
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრებმა, გიორგი ქვარცხავამ, დენიტა ბიბილეიშვილმა და სალომე თოთიბაძემ განაცხადეს თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით, ვინაიდან დასაქმებულები იყვნენ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაცია:

- პროგრამას „სამედიცინო ფიზიკა“ პირველი აკრედიტაციის შემდგომ დაემატა ანატომიის და ფიზიოლოგიის კურსები. პროგრამის სამედიცინო მიმართულების გათვალისწინებით სასურველი იყო აღნიშნული კურსების გადაყვანა სავალდებულო საგნებში, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტების კომპეტენციის გაზრდას აღნიშნული მიმართულებით, ასევე პოტენციური დამსაქმებლების რიცხვისა და არეალის გაზრდას.

ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის დროს გაცემული იყო რეკომენდაცია პროგრამას დამატებოდა ანატომიის და ფიზიოლოგიის კურსები, რაც დაწესებულების მიერ განხორციელებულ იქნა, თუმცა კურსები პროგრამაში შევიდა არჩევითი კურსების სახით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას, რომელიც აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰქონდა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, ყველა სტუდენტი იყო დასაქმებული რაც მეტყველებდა პროგრამის წარმატებაზე. რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება მისი მოსაზრებით კიდევ უფრო მეტად გაზრდიდა მოთხოვნას მათი სტუდენტებისა დასაქმების ბაზარზე.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მიმდინარე პერიოდში სწავლობდა 9 სტუდენტი.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა, გათვალისწინებული იყო თუ არა კურიკულუმში რადიოლოგია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადიოლოგია არ ისწავლებოდა პროგრამაში და არ იყო გათვალისწინებული არც არჩევითი კურსის სახით.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა, გათვალისწინებული იყო თუ არა პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან საუბარი იყო სამაგისტრო საფეხურის პროგრამაზე, მათი სტუდენტები იყვნენ დასაქმებულები სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში და შესაძლებელი იყო ამისათვის შეეხედათ ასევე როგორც პრაქტიკისათვის.

ექსპერტმა პრაქტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 120 კრედიტიდან 45 კრედიტი ეთმობოდა პრაქტიკას რაც პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ იკითხა, ჰქონდათ თუ არა სიმულატორები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰქონდათ სიმულატორები. რაც შეეხებოდა რადიოლოგიას, სამომავლოდ იგეგმებოდა სხვადასხვა სპექტრის დამატება ფიზიოლოგიასა და ანატომიაში, ასევე პათფიზიოლოგიაში მხოლოდ უსაფრთხოებასთან ერთად.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ ვინაიდან პროგრამა შეასწავლიდა ფიზიოლოგიას და ანატომიას შეუძლებელი იყო თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როგორც ექიმისთვის და მედიცინის წარმომადგენლებისათვის აღმოჩენა იყო ის, რომ დაწესებულებას ჰყავდა საკუთარი ადგილობრივი კადრი, რომლებიც ასწავლიდნენ სტუდენტებს. აღნიშნული ასევე მათ მიუთითეს დასკვნაშიც.

18:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 19:15 წუთზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

მდივანი

ლევან გორდეზიანი